"დინამო" - "ზავიშა" 5:1

პოლონეთის ფეხბურთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ბიდგოშჩის "ზავიშა" მეშვიდე ადგილზეა. იგი ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და პერსპექტიულ გუნდად ითვლება. პოლონელებმა სსრ კავშირში უკვე ჩაატარეს ერთი მატჩი და წარმატებასაც მიაღწიეს. მათ დაამარცხეს ორჯონიკიძის "სპარტაკი"– 4:2.

თბილისის "დინამოსთან" შეხვედრა სტუმრებმა მაღალ ტემპში დაიწყეს და უკვე მეცხრე წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს.

ეს იყო პოლონელთა პირველი და უკანასკნელი წარმატება. ინიციატივა მთლიანად ქართველმა ფეხბურთელებმა იგდეს ხელთ და 29–ე წუთზე ძიძიგურმა ანგარიში გაათანაბრა. შესვენებამდე ბარქაიამ კიდევ ერთხელ აიძულა პოლონელები თამაში ცენტრიდან დაეწყოთ – 2:1.

მეორე ნახევარში დინამოელებმა სამი "მშრალი" ბურთი გაიტანეს (დათუნაშვილმა და მაისურაძემ – 2) და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 5:1. თბილისის "დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, იამანიძე, ძიძიგური, ბარქაია, მაისურაძე, დათუაშვილი.

’’ლელო’’, 28 სექტემბერი 1965 წ.